ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 194

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ 21.03.2019 წლის №60 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 19.06.2019 წლის №01/14050 წერილობითი მომართვების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საწყობში დასაწყობებული, მოძრავი ქონების, კერძოდ, 260 (ორას სამოცი) ერთეული, დემონტირებული გარე განათების სანათის და 120,0 (ას ოცი) მეტრი მეორადი სიპ სადენის გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სარგებლობაში გადაცემული წინამდებარე განკარგულების პირველ მუხლში ხსენებული მოძრავი ქონება გამოყენებული უნდა იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია